**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთა წინამძღოლი აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ თავად-აზნაურობის კრება დაიწყება ოცს ამა მაისსა, პარასკევს, დილის ცხრა საათზედ, ტფილისის სობრანიის საზურში, თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლებში. (3—1)

ტფილისის თეატრი

ოთხშაბათს, 18 მაისს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**პირველად:**

**ციმბირელი**

კომედია 4 მოქმედ. ა. ცაგარლისა.

მოთამაშენნი: ქქ. საფაროვა-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ღლონტისა, ბერქზიშვილისა, თამაროვისა; ბბ. კ. აფხაზიანი, აბაშიძე, თვითონ ავტორი ცაგარელი, კავთელი, ივ. ცაგარელი, მაჭავარიძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ანტრაქტებში გახსნილი იქნება ბაღი, სადაც დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

რადგან ამ თეატრში გადღერეია მცირეა, ადგილების ფასი სკამების უკანასკნელ რიგებში გაიაფებული იქნება.

ორშაბათს, 23 მაისს,

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო ქართულის დრამატიულის დასის არტისტების დახმარებით გაჰმართავს პირველად პირველ ქართულ ფეერიას:

**ყარამანი**

გადაკეთებული ხალხურის ყარამანიანიდგან სამს მოქმედებად და თერთმეტ სურათად.

სურათი 1. ყაფის დევთაგან ყარამანის მიწაზე ჩამოშვება; ექვს ფეხოვანის და ალმასის რქიანი რაშის გამოვარდნა.

სურათი 2. უშანგ შაჰისა და რაჰინდ ინდოეთის მეფის ბრძოლა; ყარამანისა და სარკეხურამანის ერთად შეყრა და გაარშიყება.

სურათი 3. ყარამანისა და სარკ.-ხურამანის შეუღლება.

სურათი 4. ყარამანისაგან ყარუნ ხელმწიფის ჯადოთ დარღვევა და შამბასარ დევის მოკვლა.

სურათი 5. ბრძოლა ბალიარანის მეფისა, შაჰპალი ფერიისა, აქვალ დევის ლაშქართან.

სურათი 6. შველა ყარამანისაგან ზორაბ ხელმწიფის შვილისა და ანყაფურ დევის დამორჩილება.

სურათი 7. მისვლა ყამარანისა თეთრის დევის სასახლეში და თეთრის დევის მოკვლა.

სურათი 8. ბრძოლა ყარამანისა ზღვათა მეფესთან და ყარამალუზ დედოფლის განთავისუფლება.

სურათი 9. ჯადოთაგან უშანგ-შაჰის მოჯადოვება.

სურ. 10. ბრძოლა უშანგ-შაჰისა ოჰყალი ჯადოსთან და 30 მოწინააღმდეგე მეფეებთან; ყარამანის მოშველება.

სურ. 11. უშანგ-შაჰის მიცვალება და ანდერძი.

ამ ფეერიისათვის განგებ დამზადებულია ახალი ტანისამოსები, ზოგიერთი ახალი დეკორაციები და ყოველის სურათისათვის ახალი მუსიკა ბ-5 ბალანჩივაძისა.

ქართულს ხოროს ექნება 12 სხვადა-სხვა სასიმღერო ნომერი.

ორკესტრი დაუკრავს ბ-ნის ბალანჩივაძის პოპურის და სრულიად ახალს „ფანტაზიას“ მისსავე.

მონაწილეობას მიიღებს 180 კაცი დადგმა ფეერისა დაჯდება 1,000 მან. (4—2)

ტფილისი, 16 მაისი

წარსულს №-ში დაბეჭდილი იყო ბ-ნ ნ. გ—ლის წერილი, რომელსაც შეუძლებელია ყურადღება არ ვათხოვოთ, რადგანაც ეს წერილი ეხება მრავალს საგულისხმო და თ:5 სავალალო საგანს ჩვენის ცხოვრებისას. ბ-ნი ნ. გ—ლი, რომელსაც კვალ-და-კვალ თვალი არ უდევნებია ჩვენის ვითარებისათვის, ადარებს ერთმანეთს ორს თაობას, ძველსა და ახალსა, და ორს ხანას ჩვენის მწერლობისას. ერთის სიტყვით, ავტორი ეხება ისეთს საგნებს, რომელთაც შეუძლებელია კაცმა გვერდზე აუაროს, თუ რომ ქვეყნის ავსა და კარგზე ზრუნავს და გული შესტკივა. მართლადაც, განა საინტერესო და საჭირო არ არის ვიცოდეთ, რა მოიღვაწა ძველმა ან ახალმა თაობამ, რამდენი ფეხის ნაბიჯი გადადგა წინ ან უკან ჩვენმა მწერლობამ, ჩვენმა ცნობიერებამ, რამდენად შევიმატეთ თუ შევისუსტეთ გონებითი და ზნეობითი ძალ-ღონე? დიაღ, ყოველივე ეს მეტად საყურადღებოა, და ამიტომაც ჩვენ ვუძღვნით ჩვენს შენიშვნას ბ-ნის ნ. გ—ლის წერილს და თან ვისურვებთ, მკითხველმა ყურადღება ათხოვოს აღნიშნულს საგნებს.

რა უნახავს, რა შეუნიშნავს ბ-ნს ავტორს წინად და ეხლა სამშობლო ქვეყანაში, რა აზრისა არის ძველსა და ახალს თაობაზე, ძველსა და ახალს მწერლობაზე? იხსენიებს რა ავტორი ძველს თაობას, ეგრედ წოდებულს თერგ-დალეულებს, ამბობს, რომ თერგ-დალეული მხნე და მამაცი, კარგად მომზადებული და დროების შესაფერად განვითარებული იყოვო. თერგ-დალეული აღიზარდა რუსულს მწერლობასა და მეცნიერებაზე და შეითვისა, შეიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებულის საზოგადოებისა და ხელსავსე მოვიდა სამშობლო ქვეყანაშიო.

„თერგ-დალეულმა ენა შეგვინახა, ცოტათი მაინც გაგვიმდიდრა და ქართულს ჭკუას, ზნეობას და მწერლობას ბევრი სიმდიდრე შეჰმატა“. რა იყო მიზეზი თერგ-დალეულის გამარჯვებისა? თერგ-დალეულთა თაობაში «არ მოიპოვებოდა არც ძალიან დიდის, უზარმაზარის ჭკუის პატრონი, არც მეტის-მეტად განათლებული კაცი... მაგრამ ძლიერი და გამარჯვებული იმიტომ გამოვიდა, რომ იმ დროის ნათელი აზრები მართლა შეითვისა და განიხორციელა».

თერგ-დალეულმა მოგვცა, რისიც მოცემა შეეძლო, და გზა დაუთმო ახალს თაობას, რომელიც დღეს ჰმოქმედობს მწერლობასა თუ საზოგადოებაში. აქ იწყება ახალი ხანა ჩვენის ვითარებისა; სამწერლო თუ საზოგადო სარბიელზე გამოვიდა სულით და გულით ფუჭი და ცუდი, გონებით გაუხსნელი და დროის შესაფერად მოუმზადებელი თაობა, რომლის შუბლის ბეჭედი „გულ-გრილობა და გულ-ქვაობაა“. ამ თაობამ კარგად და საფუძვლიანად არა იცის-რა, არც უცხო მწერლობა და მეცნიერება და არც საკუთარი ვითარება.

ერთის სიტყვით, როგორც ხედავს მკითხველი, სურათი ჩვენის მწერლობისა და ცხოვრებისა სრულიად შეიცვალა და ჩვენც სრულიად დავქვეითდით. „განცვიფრებით ვუყურებ ადრინდელს თერგ-დალეულებს და იმათს ნაყოფს—ამ ქამის ახალ-თაობას“, ბრძანებს ავტორი. და მართლაც რომ განსაცვიფრებელია ავტორის მიერ ნათლად დასურათებული გარემოება.

ეხლა ვიკითხოთ, სად და რა არის მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა? თუ ეს ახალი თაობა ნაყოფია თერგ-დალეულებისა, როგორც ბრძანებს ავტორი,—როგორ მოხდა, რომ ყოველის ფრით კარგმა თაობამ, რომელმაც «მართლა შეითვისა და განიხორციელა იმ დროის ნათელი აზრები, თუმცა მეტის-მეტად განათლებული არ იყო», რომელმაც შემუსრა სიცრუით, სიბნელით და ფარისევლობით სავსე ოჯახი წინა თაობისა, შეარღვია ზღუდე უმეცრებისა, რომელმაც ენაც, ჭკუაც, ზნეობაც და მწერლობაც გაგვიმდიდრა და, სადაც ფეხი გადასდგა, ყოველგან და ყოველს საქმეს დაასვა «პატიოსნების ბეჭედი»,—როგორ მოხდა, რომ იმ თაობამ, რომელმაც თავისს „საყვარელსა უჩვენა საქმენი საგმიროთნია“, ვერ აღზარდა კარგი, მხნე და გონიერი თაობა, ან, უკეთ ვსთქვათ, აღზარდა ისეთი უშნო და გულ-საკლავი თაობა, როგორიც დღევანდელია? ვიმეორებთ, სად არის იმის მიზეზი, რომ დღევანდელი თაობა, რომელსაც აღმზრდელად კარგი თაობა ჰყოლია, რომელსაც თვალ-წინ ჰქონდა და აქვს მართლა რომ მშვენიერი და მდიდარი, უფრო ადვილად ხელმისაწვდომელი რუსული და სხვა, თუ გინდ საფრანგეთისა და გერმანიის, მწერლობა, ასე უძლური და უფერულია და არაფრით არა ჰგავს წინა თაობას? როგორ მოხდა, რომ ჩვენი ახალი თაობა დღემდის ვერ მიმხვდარა, «რას უნდა დაებღაუჭოს ხელით, ფეხით, სულითა და ხორცით»,—რომ რუსულის მწერლობისა და ცხოვრების შესწავლა იმისთვის აუცილებლად საჭიროა და ვერა შეუძენია-რა ვერც აქ, სამშობლოში, და ვერც უცხო ქვეყნებში. „საფრანგეთსა და გერმანიაში ნამყოფიც ბევრი მოიპოვება ჩვენს ახალგაზრდობაში, ბრძანებს ავტორი, მაგრამ ამათ ფრანგული და გერმანული რუსულს ენაზე უარესად იციანო. ეგ არის-და! რომდესაც მთელს ახალს თაობას აზრი არა აქვს, გინდ პეტერბურგში გაგზავნე, გინდ პარიჟსა და გინდ ბერლინში, ვერ-

## ფელეტონი

### მამიდა ასმათი

ამბავი.

ვუძღვნი ციცინათელას.

I

ივანობისთვე იყო. ჭიჭინობელა ტყემალზე ჭიანურს უკრავდა. მიწა გოლვისაგან ღრმად დამსკდარიყო; შიგ ჭომფაშოები იხხდენ და გრილობდენ; ზოგი მათგანი ულაზათოთ ყიყინობდა, თითქოს ზეცას შესჩიოდა, ცოტა ცვარი გადმოგვიგდეო. ერთს ფერდობზე პატარა სამ-თვალიანი ოდა, ხის ბოძებზე შესკუპებული, გადმოჰყურებდა. ყავრით დახურული ფარდულები ძერის ფრთებსავით ჩამოეშვა, თითქოს ძიროულის ხევში ეპირებაო ჩაფრენას. წინა ფარდული აივანზე ჰქონდა გადაშლილი და ოთხს ბოძზე იყო დაბჯენილი. ერთ კუთხეს გძელი ხის სკამი იყო კედელზე მიდგმული და ცალი თავი სასთუნლად ჰქონდა მომორილი. ამის გამო სკამს საევარძელს ეძახდენ. იმაზე იჯდა ერთი შუა ხანზე გადასული ქვრივი, შავებით შემოსილი, ლურჯი ლაინის პერანგი ეცვა და საყელო თეთრი ზონრებით ჰქონდა მარყუჟათ შესკვნილი. გვერდით მოესვა თმა-გრუზა პირ-რგვალი გოგონა. ამას კალთაში ძველი დაჭმუჭვნილ-დაფლეთილი ბარათები ეწყო. ერთი მათგანი მუხლზე ჰქონდა გადაფენილი, სტრიქონებს თითს აყოლებდა და წკრიალა ხმით გასძახოდა: „ჩ...ე...მ...ო. . ს...ა...ყ...ვ...ა...რ...ე...ლ...ო!..“ და სხვა. თუ ხანდახან შეეშლებოდა, ქვრივი მაშინვე გაუსწორებდა, თუმცა შიგ ბარათში არ იხედებოდა. მისი მსხვილი თვალები ხშირად ლურჯ ცას შეჰყურებდენ; ეტყობოდა, ქვრივი ღრმათ იყო ჩაფიქრებული, ხელში ეჭირა თითისტარი და ბამბის ფთილას ართავდა. ხანდახან თავს ახირებულათ გაიქნევდა, თითქოს დახვეულს ფიქრებს იგერებსო. პატარა მოწაფე არ იყო მაინცა-დამაინც სუფთათ ჩაცმული; მუხლებ ქვეშ, როცა ფეხ-მოკეცილი იჯდა, ტიტველა ფეხის ცერები უჩანდა, კაბის სახელოები შავათ ჰქონდა გალიფული, რადგან მათ ცხვირსახოცის მაგიერათ ხმარობდა. შავი წარბები, გძელი შავი წამწამები და მელნის ტბა თვალები მეტად აცოცხლებდენ მის სანდომიანს სახეს. მისი შეთლილი და ცოტათ გაფუთქული ცხვირის ნესტოები ბალის ვაშლის კვიჭიჭებს მოაგონებდა, როცა ისინი მწვანე ფოთლებ ქვეშ ლამაზათ გამოიჭვრიტებიან. თუმცა მომუზნული სახე იმ ცხრა წლის გოგონასი ბევრს ბუნებითს შნოს ჰკარგავდა, მაგრამ ვინც ნახავდა, ყველა ასე ამბობდა: „როცა მოჩიტდება, მაგის ნახვას არა ემჯობინება-რაო“.

მზე დასავლეთისკენ გადაწეულიყო და საევარძელს ჩრდილი მიუგდოდა. აივნის მეორე კუთხეს მზე ისევ აჭერდა და პაპანაქება-სიცხე ჯერ კიდევ არ დაშვებულიყო. ძიროულის ხეობიდგან ცოტა სიომ მოჰბერა და საევარძელზე მსხდარნი მამიდა-ძმისწული გააგრილა. მაგრამ აივნის მეორე მხარეზე, სადაც მზე აჭერდა, მაინც მყუდრე იყო. ბუზებიც აქვე მოგროვილიყვნენ და თითქოს სიცხისაგან გარეტებული ერთმანეთს ებრძოდენ.

— აწ, კარგი, შვილო, გეყოფა კითხვა, შეინახე.—უთხრა ქვრივმა და თითონაც მიდგა საევარძელზე თითისტარი და ბამბის გორგოლაჭი.

პატარა ქალი ელვაზე უმალ წამოვარდა, დახვია ხელი ბარათების ნაგლეჯებს და შევარდა განის ოთახში.

— ნათელა!—დაუძახა ქვრივმა პატარა ქალს. უჩემოდ ნურსად წახვალ. ბარათები რომ შეინახო, ისევ აქ მოდი. ორიოდე სიტყვა მაქვს შენთვის გადმოსაცემი...

— აი, მამიდა! აგერ ვარ, რა გინდა?—გამოეპასუხა ცოტას ხანს შემდეგ შნოიანი გოგონა და სიკეკლუცით წელში იხრებოდა.

— შენ გენაცვალოს შენი მამიდა, ჩემო მერცხალა გოგონა!—შემოხვია თავზე ორივე ხელები, მიიზიდა და დაუწყო კოცნა თვალებში, მერე დაისვა მუხლზე და ასე ეუბნებოდა:

— ვაი, თუ ალარც-კი გაგახსენდე, ქმარს რომ წაჰყვები?..

— არა, მამიდა, მე ქმარი არ მინდა. არც წავყვები.

— მამიდა გენაცვალა. ქალი რომ გაიზდება, ქმარს უნდა წაჰყვეს, უსათუოდ. ისეა წესი. მეც მყავდა ქმარი. კარგი კაცი იყო. მე, შვილო, მისი ღირსი არ ვიყავი, ღმერთმა არ მომცა, თორემ... დედაშენსაც ჰყავდა ქმარი; ცოლ-ქმრობა ღვთის გაჩენილია. თუ ქმარს არ წაყვა, ქალი ისე რა შვილია?

— მე ხომ ჯერ ქალი არა ვარ.

— წრეულს, მარიამობისთვეს, ათი წელი შეგისრულდება, მეთერთმეტეში ჩადგები. მერე ქალობა დაგეტყობა. თორმეტის წლის არც-კი ვიყავი, მე რომ გამათხოვეს. ტანით თურმე შენ ხელაც არ ვყოფილვარ, მაგრამ რომ გავთხოვდი და ერთს წელს შემდეგ ისევ საყოლში (მამის ოჯახში) დავბრუნდი, შინაურებმა ველარც-კი მიცნეს. შოლტივით დედაკაცი შევიქენი. ქმარს რომ წაყვები, შენც გაიზდები, შვილო, გაკეთდები.

— აჰ, არა, მამიდა—თავი გაიქნია ნათელამ. ასე მგონია, გძულვარ და

საიდგან ვერაფერს სარგებლობას ვერ გამოიტანსო"...

„მიზეზი ჩვენის უთავ-ბოლო ხეტიალისა ის არის, რომ ჩვენი ახალი თაობა უაზროა, უსაგნოაო"... როგორც სჩანს ავტორის სიტყვებიდგან, ჩვენს ახალს თაობას საგანი ცხოვრებისა და ნათელი დედა-აზრი ვერც აქ, სამშობლოში, უპოვნია და ვერც უცხო ქვეყნებში. ვგზავნით თვრამეტისა, ცხრამეტისა და ოცის წლის უსაგნო და უაზრო ყმაწვილებს უცხო ქვეყნებში საგნისა და დედა-აზრის საპოვნელად, მაგრამ სული ამაოდ. სად უნდა შეიძინოს დედა-აზრი? რა მიზეზია, რამ აზრი ვერ გვიპოვნია ვერც შინ და ვერც გარედ? ერთის სიტყვით, რამ დასეტყვა და დანაცრა ჩვენი გრძნობა-გონება, რა მიზეზია, რომ „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შკიდისა" და რა მიუვალი ქაჯეთის ციხე ყოფილა ეს ჩვენი ახალი თაობა, თუ რომ ვერც თერგ-დალეულების მაგალითმა და მოღვაწეობამ განსწმიდა და გაათვაქიზა იმისი გრძნობა და გონება, სული და გული, ზნე და ხასიათი, და ვერც მდიდარმა უცხო მწერლობამ მოხიბლა იმისი თვალი? აი, სხვათა შორის, ის საკითხავი, რომელიც თავში გებადებათ, როცა ბ-ნის ნ. გ—ლის წერილს კითხულობთ.

# ახალი ამბავი

*** გუშინ, ორშაბათს, 16 მაისს, ტფილისის სადგილ-მამულო კრებამ განიხილა ორი საგანი—ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1887 წლის განმაელობაში და მოხსენება თეატრის გადაკეთებისა, ქარვასლის შეკეთებისა და აგრეთვე ყველა ამ ქარვასლაში ახლად გაკეთებულის შენობის თაობაზედ. კრებამ ორივე საგანი დაამტკიცა: ბანკის ანგარიში 1887 წლისა—65 ხმით წინააღმდეგ 7-სა და მეორე საგანი—მოხსენება თეატრის გადაკეთებისა და სხვა შენობათა თაობაზედ-კი—61 ხმით წინააღმდეგ 10-სა. 10 საათზე დაწყებული კრება ნაშუადღევის $3\frac{1}{2}$ საათზედ გათავდა. შემდეგი კრება გადაიდო ღლეისთვის, დილის 10 საათზედ.

*** უკანასკნელის წვიმების გამო მტკვარში წყალი ორ ადლამდე მომატებულა, ასე რომ რამდენიმე წისქვილი გაუფუჭებია და რამდენიმე ტივიც მოუტაცნია.

*** წვიმები ზემო-ქართლშიაც ძალიან ხშირია. ზოგან ამ გახშირებულის წვიმების გამო სიმინდები ძალიან გაბალახა. რომელ სიმინდის გათოხნასაც აქამდე შვიდი-რვა კაცი ეყოფოდა, ახლა ისე გაბალახდა, რომ ერთი კაცი ეყოფა. ეს დიდი ზარალია ქვეყნისათვის. ამას გარდა თუ ასე გასტანა დიდხანს ავდარმა და წვიმამ, ყანებსა და ქერებს სრულიად აოდავს, ხოლო სიმინდებს ერთიან დაჰმალავს და დასჩაგრავს ბალახი. მოსავლის პირი-კი წელს ისეთია, რომ უკეთესი აღარ შეიძლება.

*** ქართლის სოფლებშიაც შემოიღეს სასიამოვნო და სასარგებლო დროს გატარება. თითოეულის თავადიშვილის ან აზნაურშვილის ოჯახში იმართება ქართული წარმოდგენები, რომელზედაც ან მუქთად, ან მცირე ფასით ესწრება სოფლის ხალხი, თვალს ახელს და სიამოვნობს. შარშან ზაფხულში ასეთი წარმოდგენა, სხვათა შორის, გამართული იყო სოფ. შაქაშეთში, იქაურის თავადიშვილის ოჯახში. ასეთივე წარმოდგენა გაუმართავთ წელს სოფელს საღოლაშენში, თ. სარდიონ ამირეჯიბის ოჯახში. შემოსავალი გადაუდვიათ სოფლის სკოლის სასარგებლოდ.

*** გარე-კახეთიდამ გვწერენ, რომ სოფელს ხაშმში არ დაეკითხნენ საზოგადო სასოფლო ყრილობას და უგანაჩენოდ და უარაროდ გააწერეს სოფელს ხარჯი, თითქმის ას თუმნამდე მწერლებისათვისაო. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ გლეხ-კაცობა წელს ძალიან გაჭირებულია, რადგან შარშანდელი წელიწადი უმოსავლო წელიწადი იყო. ამას გარდა კიდევ „ოკლადნოი ლისტები" კიდეც მოუვიდა სოფელს და ნახევარწლის სახელმწიფო ხარჯი 1 ივლისამდე უნდა გაიღოს. შარშანდელის მოუსავლობის გამო-კი, ვგონებ, შარშანდელის შესატანიც-კი სრულიად ვერ შეიტანა სოფელმა სახელმწიფო ხაზინაში. და აი, სწორედ ამ დროს აწერენ სოფელს უგანაჩენოდ მწერლებისათვის ხარჯს და ისიც თითქმის ას თუმნამდე!

*** გარე-კახეთიდგანვე გვატყობინებენ, რომ იორი ამ ჟამად ძალიან ადიდებულიაო. განაპირებულს მდინარეს დიდი ზარალი მიუცია სხვათა შორის იქაურ მემამულეთათვის: თულაშვილისა, თამამშოვისა და თ. კ. ჩოლაყაშვილისათვის. ზარალი მიუცია აგრეთვე სართიჭალელ გერმანელებისათვის და თვით სართიჭალელთათვისაცა.

*** საკვირველი საქმე ემართება ამ გარე-კახეთსაო,—გვწერენ იქიდამვე: გარე-კახეთში ორი ხიდია იორზე, მაგრამ მაინც იორი წყალ დიდობას ბევრს უბედურებას დაატრიალებს ხოლმე. რადა? რადა და იმიტომ-რომ ხიდები უადგილო ალაგს არის გაკეთებული; ისე უადგილო ალაგას, რომ თვით გარე-კახეთს არასა ჰშველის და არ ეხმარება. ერთი ხიდია გომბორისკენ მიმავალს გზაზედ, უჯარმას ახლო. ამ ხიდზე დადიან კახელები, დადის ჯარი, მგლები და ტურები და გარე-კახელები-კი ვერ დადიან, იმიტომ-რომ გარე-კახეთის სოფლებიდამ 25 ვერსის მანძილზეა. მეორე ხიდი სიღნაღისკენ არის, სიღნაღის გზა-ტკეცილზე და, რასაკვირველია, უფრო სიღნაღში მიმავალთ მალხაზოვკელებს ემსახურება და არა გარე-კახელებს, იმიტომ-რომ ეს ხიდიც 25 ვერსის მანძილზეა გარე-კახეთის სოფლებიდამ. ეს ხიდი ემსახურება აგრეთვე ივან მალხაზის ძის წისქვილებს და გარე-კახელები-კი მშრალზე არიან დარჩენილნი და იორში სველდებიან. სართიჭალის ნაწილში ანუ მთელს გარე-კახეთში 14 ათასი სული მცხოვრებელია. ეს ამოდენა ხალხი იხდის საერო გარდასახადს, სთხოვს, ვისაც ჯერ არს, ეხვეწებოდა და ეხვეწება დღესაც, იძლევა კიდევ ფულს, მასალას და—დახეთ იმის ბედს!—მაინც დღემდე ხიდი არ ეღირსა და არა! ხალხს გული გადაელია ლოდინით და ახლა ამას-ღა ამბობს: თუ ხიდი არ გაკეთდება, რაღათ ვიხდით იმ ხარჯს, რომელიც სხვათა შორის ხიდებისა და გზების კეთებისათვის არის დანიშნულიო.

*** ქუთაისი: ორპირის ქუჩაზე თითქმის ყოველ დღე გამვლელ-გამომვლელი მოწამეა საზარელის სურათისა. საქმე ის არის, რომზედ სათავადაზნაურო სკოლის გვერდით, ნალბანდები ცხენებს წამოაქცევენ ხოლმე და ქუჩის პირზე ჰკოდავენ. სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოწაფენი, რომლებიც დილით სასწავლებლებისაკენ მიემგზავრებიან, მთელ-მთელ საათობით ჩერდებიან ქუჩაში და ზედ დაჰკურებენ ამ საზარელს სურათს. კარგი იქნება, პოლიციამ ყურადღება ათხოვოს ამ გარემოებას და აღუკრძალოს ნალბანდებს ქუჩის პირად ცხენების დაკოდვა.

*** ვენგრიელს მოგზაურს დეიშს, რომელსაც რამდენიმე წელიწადი მოუნდომებია კავკასიის შესასწავლად, მიმოუვლია უმაღლესი მთები კავკასიისა (მაგალითად, იალბუზი) და თვალ-ყური უდევნებია მყინვარებისათვის, საჩუქრად უძღვნია რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოებისათვის დიდი და ვრცელი კოლექცია კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილების სურათებისა. განსაკუთრებით კარგი და ლამაზია მყინვარების სურათები. 1884-ს წელს ბ-ნს დეიშს ნიშნები დაუდგამს მყინვარებზე და ამ ნიშნების შემწეობით ეხლა შესაძლებელია შეიტყონ, თუ რა ცვლილება მომხდარა მყინვარებში. საგეოგრაფიო საზოგადოებამ აირჩია დეიში წევრად-თანამშრომლად, ვითარცა ბეჯითი მკვლევარი კავკასიისა და შემდგენელი ხსენებულის კოლექციისა („Н. В.").

*** შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარუდგენიათ დასამტკიცებლად პროექტი ახალის სანაოსნო ამხანაგობის წესდებისა. ამ ამხანაგობის გემები ივლიან კასპიის ზღვაში, მდ. ვოლგაზე, ოკასა და კამაზე. ამხანაგობა „ძმათა მერკულიევთა" ფირმისა იქნება. ამხანაგობას შეუკვეთნია ცეცხლის გემები საჭირო მოწყობილობითურთ ნავთის გადასატანად. („Новости")

*** 12 მაისს, პოლიციის მე-4 ნაწილში, ლაბორატორიის ქუჩაზედ, ი. კ. სადგომის სამზარეულოში ცეცხლი გაჩნდა და ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ჩააქრო; სახლი დაზღვეული იყო; ზარალი ძალიან ცოტაა; გამოძიება სწარმოებს.

## დიდუბის ხვრელის გამო

იმ ამბავს, რომელიც მუშტაიდის ბაღთან აღმოჩენილ ხვრელის შესახებ იყო „ივერიის" წინა №-ში დაბეჭდილი, კიდევ რამდენიმე სიტყვა უნდა დავუმატოთ. როგორც ლაპარაკობენ ამ ხვრელის მნახველნი, ხვრელი გრძლად არის ჩაყვანილი, კაცი შიგ ზოგან შეიძლებს გამართულს სიარულს, ზოგან-კი ცოცვით უნდა გაძვრეს. ზოგიერთებს ორასამდე ნაბიჯი გაუვლიათ. ხვრელი გრძლად გაყვანილს დერეფანსა ჰგავს, ზოგან მარჯვნივ და მარცხნივ სხვა გასავალიც უჩანს ოთახებივით. თვით ხვრელს მიწა გვერდებზე სწორეთ აქვს ჩამოთლილი და ზემოთ თაღივით-კი არა აქვს მრგვლად კამარა, არამედ ისე, თითქო უკვრული ქუროსო. ნაკვბობას ეტყობა სიწმინდე და სილამაზე. მიწურის კედლებს ჭერთან ახლოს მარჯვნით და მარცხნით სიგრძეზე თითო არშინის სიშორეთ კედელში მიწა ოთხ-კუთხად ამონაჭრერი სჩანს, თითქოს ჭერის კოჭების ბოლოების ნაადგილარიაო. უჭკელია, ჭერი ჩამომპალა მიწა ზემოდამაც ჩამოსულა და ჭერი სწორე, ან კამარა არ არის, არამედ კუთხიანია. აქვე, როგორც მოხსენებული იყო, ქვითკირის სარდაფიც არის. სარდაფს ქვითკირის თაღი აქვს თურმე, ხოლო რა ზომისაა, ვერ შევიტყეთ. ვისაც პირველად უნახავს, მეორედაც თურმე ჩასულა და წინად გავლილის ხვრელის ზოგი ნაწილი ვეღარ უნახავს, რადგანაც ავდრების გამო მიწა ჩამოსულა და გზა შეუკრავს. პოლიციას ერთს მხარეს ხვრელის ჩასავალში გზა ამოუქოლვინებია, რადგანაც შესაძლოა მიწა ჩამოწვეს და ქვეშ ვინმე მოჰყვესო.

რა ხვრელი უნდა იყოს ეს ხვრელი? შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აქ როდისმე გომურები ყოფილა, მწკრივად ჩაყოლებული. ამ გვარი მიწის ქვეშ გომურები ამ ორიოდე წლის წინად თვით ამ ადგილას სჩანდა, ადგილ-ადგილ ჭერჩაქცეულები, სადაც ახლა ლორთქიფანიძის ტრამვაია. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ზემოხსენებული ხვრელები როდისმე აქ სამალავები ყოფილიყოს ძველის ნასოფლარისა. ან იქნება თამარ დედოფლის

---

გინდა თავიდგან მომიშორო; თუ შეგძულდი, ბიძაჩემთან გამგზავნე.

— მის მეტად ღმერთმა არ შეგიძულოს!.. მოხვია ორივე ხელები ძმისწულს, ჩაიკრა გულში და ხელ-მეორედ დაუწყო კოცნა. ეგ რა თქვი? მძულხარ-კი არა, შენზე ამომდის მზე. მე შენს მეტი ვინ მყავს ქერივ-ოხერს. დედაშენი რომ კვდებოდა, შენი თავი მე ჩამაბარა, იმ სულ-განათლებულმა: «შენ იცი და შენმა ქალობამო, თუ ჩემს ნათელას გამიზდიო». მას აქეთ შვილად მყავხარ აყვანილი. რაც შენს გამოზდაზე წვალება და მწუხარება გამოვსცადე, დედა როგორ გამოცდის იმდენს! ორი დასკვნილი წელიწადი ამ ხელებით მიტარებიხარ, ძირს ფეხი არ დამიდგმევინებია შენთვის, მეშინოდა, არ გამცივებოდი...

— აბა, რათ მეუბნები გაგათხოვებო. მე წვერებიანი კაცების მეშინია.

— რათა, შვილო, კაცის რათ გეშინია?.. ბიძაშენი კაცი არ არის წვერებიანი? სხვა გარეშე კაცებიც მისთანები არიან... არ გახსოვს, მამაშენი რომ ვაშლებს და კანფეტებს მოგიტანდა, კალთაში ჩაგისვამდა, გკოცნიდა, გეალერსებოდა?.. ქმარი კიდევ უფრო ბევრს საჩუქრებს მოგიტანს: ოქროს ბეჭედს, ოქროს სამაჯურს, ოქროს საყურეებს, ოქროს ძეწკვს, ფარჩის კაბას, აპრიალებულს პოლოსაპოჟკებს და, ვინ იცის, რამდენს რას არ მოგიტანს.

— არა, მამიდა, არასფერს არ გამოვართმევ. არც მიყვარები. ძიძა ყოველთვის მარიგებდა, კაცს არ მიეკაროვო, თვარა მაშინვე მოგიტაცებსო... ტყუილათ რომ გვერდით გაუარო და მისი ჩოხის კალთა მოგედვასო, მაშინვე დაორსულდები და გაუბედურდებიო. მას აქეთ შემძულდენ მე კაცები.

— იმას დაუდუმდეს ის ბოროტი ენა!.. მოვიდეს აქ, მე გავსცემ საკადრისს პასუხს, ის ავ-სული! როგორ გაბედა შენთან მაგისთანების ლაპარაკი!

— არა, მამიდა, ნუ გაუწყრები. მე ძიძა ძალიან მიყვარს. ხომ არ გაუწყრები, ჩემო მამიდა. — ნათელა უცებ ახტა, მოეხვია ქერივს კისერზე და დაუწყო კოცნა.

— კარგი, შვილო, არ გავუწყრები, მაგრამ როგორ გაბედა იმ საძაგელმა შენი დაშინება. განა, შვილო, მე შენი სიკეთე არ მინდა? ქმარი რომ ცუდი იყოს, როგორ გირჩევ? მაგრამ შენ ახლა მოზდილი ხარ. ერთსა და ორს წელს იქით გასათხოვარი შეიქნები. ახლავე მინდა, შვილო, შეგაჩვიო ამ აზრს, კარგი საქმრო გამოგირჩიო. მე შენთვის სულ პირ-ტიტველა ბიჭი მყავს გამორჩეული. აბა, ბიძაშენი რომ ფიქრობს, ის-კი არ მინდა შენთვის: შავტუხა ყაძახი (გლეხი), შავი წვერ-ულვაშიანი, უთვალტანადო, უსახო. იმისთანას არც მე გირჩევ.

— მამიდა, წავალ ლუტიასთან და კოწიასთან სათამაშოთ. — მოუთმენლად ჩაჰკითხა ნათელამ, რომელსაც მობეზრდა ცოლ-ქმრობის ფილოსოფია. კოწიას ერთი ყელ-მომტვრეული დოქი უშოვნია, ქვევრად უნდა ჩაფლას მიწაში, წყლით გაავსოს, თავი გადუგლისოს, ვითომ ქვევრია და შიგ ღვინოო. მე მინდა იქ დავესწრო.

— წადი, მაგრამ არა იწყინო-რა.

ნათელამ მოკურცხლა მეზობლებისაკენ ფეხ-შიშველა და თავ-მოხდილი; თავ-საფარი ყელზე ჩამოვარდნოდა და მიაფარფაშებდა.

ქერივმა გაუშტერა იქითკენ თვალები, საითკენაც ნათელა გაფრენილ იყო: ხელში შერჩენოდა მხოლოდ თითისტარი და ბამბის ფთილის ნარჩენი. ცოტას ხანს იქით ქერივმა ამოიხვნეშა და ასე დაიწყო: „ვინ იცის, იქნება არც-კი მოხდეს! ბევრი მტრები მყავს. პირველი ჩემი მტერი ჩემი ძმა როსაფია. იმას უნდა ნათელას წყალობით ისარგებლოს. რა ენაღვლება, ამდენი მიწა-წყალი ხელში ჩაიგდო; ობლის ლუკმა გემრიელია. ვინ არის პასუხის მომკითხავი?.. აპეკუნობა ქრთამით დაიმტკიცა. იმ დღესაც ობლის მამულიდგან ერთი ახო გაუყიდია ოც თუმნათ. სანამდის ჩემი ნათელა წამომეზდებოდეს, იმის ადგილ-მამულს გაანახევრებს... არა, უნდა დავაჩქარო ნათელას გათხოვება. მერე-კი მე ვიცი, თუ ქალი ვარ, პირში ლუკმას გამოვაცლი. იმ დღესაც ქართლიდგან მომივიდა ნათელას მაშვალი. შეუტყვიათ, მამულიანი ქალი არისო, მოტაცება განუზრახავთ, თუ აპეკუნი არ დათანხმდაო. აბა, რას დათანხმდება? ათას ორასი თუმნის მამული ხელში უჭირავს. რა ენაღვლება; იქნება იმას სულაც არ უნდოდეს ნათელას გათხოვება. იმ დღეს მითხრეს, ცოლის ძმისწულისათვის უნდაო. თურმე როსაფსა და იმის ცოლის ძმას მოლაპარაკებაც ჰქონიათ. ორმოც თუმანს დაჰპირებია როსაფსა, ოღონდ ჩემს შვილს მიეცი ნათელაო. მანამდის არ ადგა ჩემის ძმის გვერდები, მე იმას ეს იმედი არ ავუსრულო. თანდილაანთს იოთამს შემოუთვლია, თუ ჩემს შვილს პეპიკოს შერთავ შენს ძმისწულს ნათელასაო, სამოც თუმანს გასამრიგლოს მოგართმევო. ოთხმოც თუმანსაც ადვილათ მომცემს. ხვალ უნდა შევუთვალო პასუხი. საკუთარს ნაყმევს გავგზავნი და წიგნსაც ასე მივსწერ: ოცი თუმანი ხელათ გამოგზავნოს და სამოცის თუმნის ვექსილიცა ერთის წლის ვადით. მაგრამ ესეც არის, თუ არ მოვატაცებიე, ნება-ყოფლობით არავინ დამანებებს ნათელას. ჩემს ავსულს ძმას გზირები ჰყავს ყოველგან დაყენებული. მაგრამ თუ მოვინდომე, ჩემა მტერს ნურა გაუგია-რა, მაგათ

რის ნაშთია, როდესაც აქ, დიდუბე- საზავშულო სადგომები ყოფილა.

ტფილისის ძველს ნაწილში საკმაოდ ვრი ყოფილა და არის დღესაც დარჩენილი ნაშთი სამალავებისა, გვირაბებისა და გასავალ-გამოსავალისა. მაგალითად, ამ რამდენისამე წლის წინად თათრის მეიდანთან ძველი სასახლე რომ ცეს, ახლანდელ ზარუბნეგოვის ქარვასლის ადგილს, გასავალი იყო მტკვარ-; ხუთი-ექვსი კაცი მწკრივად გამარული გაივლიდა, გვერდები ჰქონდა ის ქვითკირით აგებული და ზემ ტივის ხით დახურული. ქარვასლის აშენების დროს ეს გვირაბი ავსეს. ბაზარში ლაპარაკობდნენ ბევრ-, რომ ეს გვირაბი ნარიყალის ციხემდე სო, და ზოგნი ამბობდნენ, რომ ჩვენ თონ ავსულვართო; ციხეში-კი შესავალი გვირაბისა ღორღით სავსეა და გავლა ვეღარ შევიძლითო. ცხადია, რომ ის გვირაბი ყოფილა. გაგვიგონია, რომ ანჩისხატის საყდრის ახლოს, ეხლანდელ ბაგრატიონის და მესხიანთ ქუჩების, ჩრდილოეთის სახლებიდამ (მესხიანისა) მთაწმინდის მამა დავითის ეკკლესიამდე, ვითომ სამალავი ყოფილი- ასავლელ-ჩამოსავლელი, რომ უშიშ- შესძლებოდათ მთაწმინდიდამ სიარული შუა ქალაქში, რომელსაც გალავანი ერტყა ველიამინოვის ქუჩის გაყოლებაზე სემინარიამდე და სემინარიიდამ; ზურაბიანთ ქუჩის გაყოლებით, მტკვრამდე.

სარდაფებისა და სარდაფებში სამალავების სიმრავლე ტფილისის ძველ ნაწილში აუარებელია. აქ დიდს სიღრმეზე ქუ- ერთის მხრიდამ მეორემდის გაყვანილია ეს სარდაფები, ზოგჯერ სამასა და ხის სხვა-და-სხვა პატრონის სახლის ; სარდაფებს სამალავებიცა აქვს კუთ-ში, თორნებიც, ჭაც და სხვა. იშვიათი რის ამისთანა სარდაფებში, რომ ეპოვნათ მავრაშებში შეკრული ქვევრები, სკივრებში ჩაწყობილი ტანისამოსი, ანუ ნი-ეული, ავეჯეულობა სახლისა, ჭურჭელეული ვერცხლისა, სპილენძისა, საქ-ისა, ჩინურისა და სხვა; აგრეთვე ლი ოქრო-ვერცხლისა და შავი. იმა- აღარას ვიტყვით, რომ ხშირად უვე-ს თიხის ქილით სავსე მარილ-წყალი ნიათ, ისეთის ქილით, რომელსაც, ობა დიდის ხნის გამოისობით, და-ია ზედა პირი და ხელის მოჭიდების უშალ სიმძიმეს დაუძლევია და ყური მოჰგლეჯია.

ამ შენობების ნაგებობაც შესანიშნავია. თუმცა იშვიათია, მაგრამ მაინც შეხვდება კაცს ღორღში იმისთანა კრამიტის ნაჭრები, რომლის მსგავსი მცხეთის სამთავროს აკლდამებში იპოვება; ან კიდევ იმისთანა აგურები, რომელსაც ორი მტკაველი სიგანე აქვს და სამი მტკაველი სიგრძე, და რომლის მსგავსს მცხეთაში ვხედავთ არაგვის პირზე, ანტიოქიის ძველის ნასაყდრალის (ახლა საბძლად გადაქცეულის) კედლებში. ამ გვარი აგურები შარშან გამოჩნდა სალაყბოს მოედანზე, ეგზარხოსის სახლის წინ, როდესაც აბანოს წყლის გამოსაყვანი მილებისათვის არხებსა სთხრიდნენ.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მუდამ დღე ტფილისში, მეტადრე ძველს ქალაქში, ბევრი ნაშთები ჩნდება შენობების აგების დროს, ბევრი იღუპება და იკარგება, მაგრამ ერთი არქეოლოგი-კი არ იპოვება, რომ ამას თვალ-ყური ადევნოს, აწეროს და მომავალის ტფილისის ისტორიისათვის მასალა შეაგროვოს, ყოველს დღეს რამდენიმე ძველი ნაშთი სამუდამოდ იკარგება. დღევანდლამდე ტფილისის ძველის გალავნის ნაშთიც-კი, რომელიც ჯერ-ჯერობით რამდენსამე ადგილას დარჩენილა, მუხრანიანთ ქუჩაზე და კრწანისში, ძველის ყორჩიყალის ციხის სამხრეთით, სადაც განჯის ქუჩა თავდება, ანუ ნარიყალის ციხე, ყორჩიყალისა და მახათის კოშკ-სიმაგრეთა ნაშთები,—სულ ესენი არც აწერილია, არც იმათი გეგმები და გამოსახულობა შეუდგენიათ. მთელს ტფილისში, ეკკლესიებს გარდა, ათიოდე შენობა ძლივს მოიპოვება ძველის დროისა (აბანოები, მეფის აბანო ეგზარხოსის სახლთან, ანჩისხატის ძველი სამრეკლო, მუხრანიანთ ძველი სახლი (ანჩისხატთან), ცეცხლის თაყვანის-მცემელთა სალოცავი (ფეთხაინთან), ორიოდ-სამიოდე ძველი გვირგვინიანი დარბაზი და ორი კოშკი სანატანიკო ბაღში, ა სულ მთელის ძველის ნაშთი ჩვენის ათას ოთხასის წლოვანის ტფილისისა) ერთი ათიოდ-ოციოდე წლის შემდეგ გგონებთ ესეც აღარსად იყოს. აწერია-კი არავინ არის. ერთი დრო იყო ამ რამდენისამე წლის წინად, არქეოლოგიის კრების დროს, მთელი ტფილისის ჩინოსნები და უჩინოები კინაღამ სულ არქეოლოგებად გადაიქცნენ, სათვალავის მთხრელებად, „გრობოკოპატელებად“. მოდა იყო, მხლას! ეხლა-კი აღმოჩნდა, რომ ტფილისს არც ერთი არქეოლოგი არა ჰყოლია.

ტფილისის მოქალაქე

## უცხოეთი

**გერმანია.** ოფიციალურად გამოაცხადეს შარლოტენბურგიდამ: იმპერატორი ფრიდრიხი ამ ჟამად იმდენად კარგად იმყოფება, რომ მისი უდიდებულესობა რამდენსამე საათს ბაღში ატარებსო. ღონე და მადაც თან-და-თან ემატებაო.

— გაზეთი „Post“-ი ამბობს, რომ პარასკევს, დილის ათს საათზე, გამობძანდა სასახლიდამ იმპერატორი და სეირნობდა ბაღში. სეირნობის დროს იმპერატორის მკლავი იმპერატრიცას ეჭირა. იმპერატორს თან ახლდა მკურნალი მეკენზი და გენერალი ვინტერფელდიო.

— იგივე გაზეთი ამბობს, რომ იმპერატორი გულ-მოდგინედ ადევნებს თვალყურს, როგორ ემზადებიან თავის შვილის ქორწილის დასაქორწინებლად. იმპერატორს იმედი აქვს, რომ მკურნალნი ნებას მომცემენ, ჯვარის წერაზე დავესწრო ეკკლესიაშიო. ქორწინებისათვის ელიან სტუმრობასა პრინც უელსისას და დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძისას.

— „ჩრდილო-გერმანიის საყოველთაო გაზეთი“ მოგვითხრობს, რომ ერთი მდიდარი გერმანელი საფრანგეთში მიდიოდა, მაგრამ საფრანგეთის კომისარმა საზღვარზე შეაჩერა და სთხოვა, უკანვე დაბრუნდიო. ამისთანა ამბავი სრულიად დაუკარგავს გერმანელებს ხალისს საფრანგეთში სიარულისასაო. ამაზე გაზეთი „Frankfurter Zeitung“-ი ამბობს: «ჩვენ არ გვესმის, რაზედა ცხარობს „ჩრდილო-გერმანიის საყოველთაო გაზეთი“? ის გაზეთი, რომელიც იძახდა და გაცოფებული ამტკიცებდა, რომ უნდა გადასახლებულ იქმნას გერმანიიდამ ათასი და ათი ათასი ოჯახი პოლშელებისაო, ის გაზეთი, რომელიც დაჟინებით და გაგულ-ქავდა, როცა ის ათასი და ათი ათასი ოჯახი ასეთს გაჭირებაში ჩავარდა, აღარ უნდა ჩიოდეს დღეს, რომ გერმანელი საფრანგეთში ვერ მიბრძანდა საფრანგეთის პრეფექტის ნება-დაურთველადაო. თუ არა ვცდებით, გაზეთმა „Post“-მა, რომელიც სტრასბურგში იბეჭდება, რამდენიმე მაგალითი მოგვითხრო ამას წინად იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მოგზაურებს ელზას-ლოტარინგიაში ისევე უკუხსად ექცევიან, როგორც ჩვენს მოგზაურს მოექცნენ ფრანგებიო. ვისი ბრალია? ჩვენ სამწუხარო სახელი მოვიპოვეთ მით, რომ დიდ ხანს გავსდევდით გაძევებას და ვდევნიდით ჩვენის ქვეყნიდამ იმათ, ვინც უცხოელია და ჩვენის სისხლისა და ხორცისა არ არის. თავიც-კი მოგვწონდა ამის გამო და ვკვეხულობდით, რომ ესეთი ქცევა გამართლებაა ჩვენის მამულიშვილობის გრძნობისაო. ხოლო იმას, ვინც ქებით იხსენიებდა ასეთს საქციელს, როცა გერმანელებმა გამოიჩინეს ეს საქციელი, ნება აღარ აქვს გაჯავრდეს მაშინ, როცა ახლა სხვაც ჩვენსავით იქცევა».

## წვრილი ამბები

ჩინეთის ელდოთვალს უარი უთქვამს სასულიერო საქმეების მართვაზე და ყოველივე გამგეობა სასულიეროსი მიუნდვია თავის ახალგაზრდა შვილისათვის, რომელმაც ამას წინად იქორწინა.

— ჩინეთის მთავრობას უარი უთქვამს, საფრანგეთის გამოფენაში მონაწილეობას არ მივიღებო, რადგან საფრანგეთსა და ჩინეთს შუა დიდი მანძილიაო. მაგრამ ყველა ის საქონელი-კი, რომელიც გამოფენისათვის გაიგზავნება საფრანგეთში, ბაჟისაგან იქნება განთავისუფლებულიო.

— სტრასბურგში დაუპატიმრებიათ 7 თვით მკურნალი, მეაფთიაქე 2 კვირით და იმისი შეგირდი—2 თვით კაცის კვლისათვის, რომელიც გაუფრთხილებლობის გამო ჩაუდენიათ და შემდეგ ცდილან დაეფარათ თავიანთი საქციელი. საქმე ასე ყოფილა: მეაფთიაქეს მიუცია წამალი ორის ავადმყოფისათვის, მაგრამ მეტი მოსვლია და ამის გამო ორივე ავადმყოფნი გარდაცვლილან. როცა გაუჩრიათ მიცვალებულნი, აღმოუჩენიათ სიმართლე და დაუსჯიათ ზემოხსენებულნი კაცნი.

— ლონდონში 101,614 კაცია თურმე, რომელსაც სრულიად არავითარი საბანე არა აქვს.

— 17 ქალაქს გადაუწყვეტია გერმანიაში აუგონ ძეგლი იმპერატორს ვილჰელმსა.

— აი როგორი უცნაური დუელები იციან ამერიკაში: ქუჩაში შეჰხვედრიან ამას წინად ერთმანეთს გენერალი და გაზეთის რედაქტორი, რომელიც გენერალს ხშირად აბიაბრუებდა თავის გაზეთში. დაუნახავთ თუ არა ამ მტრებს ერთმანეთი, ამოუღიათ რევოლვერები და დაუწყიათ სროლა. გენერალი დაცემულა და იქვე განუტევებია სული, ხოლო რედაქტორს ტყვია მუცელში მოჰხვედრია, რამდენსამე წუთს უცოცხლია და მალე ისიც გარდაცვლილა. გენერალი 70 წლის მოხუცი იყო, ხოლო რედაქტორი ახალგაზრდა, მაგრამ დიდად პატივცემული, რადგან გულ-წრფელად ამბობდა ყველაფერზე თავის აზრსა.

— აი მეორე დუელის ამბავიცა ამერიკაში: ეს მეორე დუელი მომხდარა ორს ყმაწვილს ქალს შორის. ერთი ყოფილა მერი სიმორ, 18 წლისა, და მეორე სარა ბოლტონი, 16 წლისა. წინად ორივენი დიდი მეგობრები ყოფილან, ვიდრე არ შეჰყვარებიათ ორივეს ერთი ყმაწვილი კაცი, ჯემს უაიტმანი, საიდგანაც მოსული იმათის კალონიაში. ყმაწვილს ქალებს ჯერ საშინელი ჩხუბი მოსვლიათ ეკკლესიაში, მაგრამ გაუშველებიათ. ორივეს გადაუწყვეტია, რომ დუელში გავიდეთ, მარტოდ-მარტონი და თორმეტს ნაბიჯზე ვესროლოთ ერთმანეთს რევოლვერი ერთსა და იმავე დროსაო. გასულან ერთს მიყრუებულს ადგილს და დამდგარან ერთმანეთის პირისპირ. უფროსი უფრო მარჯვე ყოფილა, პირველად სროლა მოუსწრია და სარა ბოლტონი დაცემულა ძირს, რადგან ტყვია მხარში მოჰხვედრია. ხმაურობაზე მოცვივნულან მინდორში მყოფი მუშები და უნახავთ, რომ მერი სიმორს ხელში უჭირავს რევოლვერი, რომელიც ჯერ ისევ თურმე ჰბოლავდა. მერი სიმორი იდგა გახარებული თავის მეტოქის წინაამდეგ და სტკბებოდა. «დიაღ, მე მოვკალი და მიხარიან, რომ მოვკალიო!», დაიძახა თურმე ქალმა და გაიქცა, როცა კაცებმა მოინდომეს წაერთმიათ მისთვის რევოლვერი. მის ბოლტონს მოუვლეს. იმისი წყლული, მართალია, მძიმე აღმოჩნდა, მაგრამ სასიკვდილო-კი არ არისო. მთელი კალონია მორმონებისა, სადაც მოხდა ეს მკვლელობა, დიდად აღელვებულია თურმე ასეთის ამბითა.

— «Veritas» ბიუროს ზღვაზედ უბე-

---

ში ასავალ-დასავალი ვერ გაიგონ. თვალსა და თვალს შუა ბეწვს გამოაცლი... თუთხმეტი ცხენოსანი-კი იქ უნდა გამოგზავნონ, საცა მე დავუნიშნავ. დანარჩენი მე ვიცი“. გაათავა თუ არა ეს ფიქრები, ასმათმა დააბზრიალა თითისტარი და ჩამოუშვა ძაფათ ბამბის ფთილა, მერე ხელით ჩამოსწორება დაუწყო.

## II

ასმათი იყო ერთი მკერივათ ჩასხმული დედაკაცი, ორმოცის წლისა. მისი ხეილი ბრიალა თვალებისა ყვე-ას ერიდებოდა, მეტადრე როდესაც მე ან ეწყინებოდა, ან ეოცებოდა. მაშინ წარბებს აიგრეხდა და თვალებს გადმოკარკლავდა. ამ დროს მისი თვალები მოაგონებდა კაცს ზღაპრულს ალმასის გველის თვალებს, რომელიც ყოველსავე ახმობდა და შობდა, რასაც-კი შეხედავდა. მეზობლის დერეფნის წინ ქვა იყო ჩაკვდებული, რომ ასმათის თვალების დამანტი პირველად ამ ქვას დასცხოდა. ან თუ ვისმე ბატის ჭუკები ეხოცებოდა, ან ახალ-გამოტეხილი წიწილები ავათ გაუხდებოდნენ, ან ძროხას თვალი ეცემოდა, ან ხბო დაიხუთებოდა, პატრონი მაშინვე ასმათის ეზოსკენ გამორბოდა, სამჯერ გადააფურთხებდა და ასე იტყოდა: „შენი თვალი ქვასო, შენი არჩივი ძაღლსო“. მაგრამ არც სულ ისე ავი იყო ასმათი, როგორც უგონებდნენ. უნდა გეყურებინათ ასმათის ალერსი, როცა თავის ძმისწული ნათელა კალთაში უჯდა. ამ დროს იმისი ქცევა ვეფხის სიყვარულს მოაგონებდა კაცს, როცა ზურგზე კნუტები უსხდნან. ასმათმა სიყვარულიც გადამეტი იცოდა, სიძულვარეცა. თუ ვისმე ჩაასობდა კბილს, მის ნიადაგზე ნერგიც აღარ გაიხარებდა; მაგიერათ იმისი მეგობრობა, თუ-კი ვისმე გაიმეგობრებდა, სწორეთ ღვთის მოწყალება იყო. აი, ამის გამო იმ სოფელში, საცა ასმათი ცხოვრებდა, პარტიობა განუწყვეტელი იყო. ერთი მხარე რომ ასმათს აძაგებდა, მეორე მხარე ყოველთვის ქომაგათ ჰყავდა.

ასმათი და იმისი ძმა როსტომი დიდის ხნიდან იყვნენ ერთმანეთზე გადამტერებული და ემდუროდა ძმას იმის გამო, ვითომც ზოგიერთი დედის ნაქონი ნივთები მამის სიკვდილის შემდეგ როსტომს გადაემალოს და ანდერძიც დაეხიოს. ვითომც ანდერძში წერებულიყოს, ერთი საპარტახე ადგილი ასმათისათვის დამიტოვებიაო. იმ სოფელში, საცა ასმათი ცხოვრებდა, ერთი შეუძლო აზნაურიც ესახლა, კარგი თვალ-ტანადი, მომღხენი და მომღერალი. მას ერქვა ოთარი. ყოველფრად კარგი ვაჟკაცი იყო, მხოლოდ ერთი ნაკლულევანება სჭირდა—მუშაობა არ უყვარდა. მამა-პაპეულ ქონისთვის ერთი ტკოჩი ფიცარიც არ მიემატებინა. მის სახლის სახურავზე ხავსი მოითიბებოდა. მას ჰყავდა ერთი ძმის ზიარი დროებით ვალდებული გლეხი და ათი ურმის ყანა და მამის დანატოვარი ერთი კუდა ხმალი, რომელსაც ფრანგის რკინას ეძახდა. ასი თუმანი რომ შეგეძლია, ხმლის ფასად კიდევ ცოტა იყო. წლის სარჩო ქრისტეშობისთვის დამლევამდისაც თუ გაჰყვებოდა. მერე კარ-დაკარ დაიარებოდა. დღეს ერთთან მიეოდოდა, ხვალ —მეორესთან. ხშირად მოხდებოდა, რომ ერთს რომელსამე აზნაურის ოჯახს ამოიჩემებდა და დაუწყებდა სტუმრობას: მასაც ალხენდა, თვითონაც ლხინობდა. არც სულ მართლა ხელ-ცარიელი შედიოდა მეგობრის ოჯახში; არ ვიცი, საიდან შოულობდა, მაგრამ საკლავ-შესამადი ბევრი შეჰქონდა მის ოჯახში. თუმცა ოთარი განიერი მხარ-ბეჭის პატრონი იყო, მაგრამ, თუ დასჭირდებოდა, გველის ხვრელშიაც სრიალს გააღენდა. მეზობლები ხშირად ჩიოდნენ საქათმოსა და სათხებოს კარის გატეხას.. დღეს ერთს მეზობელს დააკლდებოდა მსუქანი დედლები, ხვალ მეორე მეზობელს საზრდოთ გასუქებული ინდოურები, ზეგ მესამე მეზობელი გააბამდა „ვიხარ მამაცა“*)! «წუხელი სანათლილებო ქვევრი მომიხადეს და სამი კოკა ღვინო მომპარესო». ყველას ოთარზე ჰქონდა იჭვი მიტანილი, მაგრამ ვინ რას გაბედავდა?.. „ხმალი სწყვეტეო, თავი კოტილარესო“—იცოდა ოთარმა ხუმრობით ხალხში წამოძახება. «ღმერთო, უარესისაგან დაგვიცევო», ჰფიქრობდნენ გულში დანაკლისებულნი. ოთარს ყველა მისებური ცალ-ხელა აზნაურები მომადლიერებული ჰყავდა. მის წვევას აღდგომასავით შეხაროდენ. კარგათ იცოდენ, რომ ოთარი ხელცარიელი არ ეწვეოდა მათ უმთვარო ღამეში. იმისი ცოლ-შვილი ღვთის ანაბარათ იყო მიგდებული. ვინ იცის, რამდენს გაჭირებას და შიმშილ-წყურვილს ითმენდენ მის კარ-და-კარ სიარულითა. ხშირად მოხდებოდა, რომ ოთარი ორს, სამს კვირას შინ არ მიიდოდა და როცა შეაღებდა კარს მამა-პაპეულს ქოხში, მაშინაც დღე ნიადაგ გაუსხლეტელი ჩხუბი ჰქონდა ცოლ-შვილთან. ისინი მუდამ შიშველ-ტიტველნი ეყარენ, მაშინ როდესაც ოთარს ყოველთვის კარგი ტანსაცმელი ეცვა და კარგს ცხენზე იჯდა. მაგრამ საკვირველი იყო! მის ცოლს ოთარის შინ მისვლა მაინც აღდგომასავით გაამხიარულებდა. ის ოთარის წყრომასაც სიამოვნებით ითმენდა, ოღონდ-კი იმას ორი, სამი დღე ცოლ-შვილში გაეთია. აი ეს ოთარი დაუმეგობრდა ასმათს და შეიქნა მისი ყურ-მოჭრილი ყმა და მოსამსახურე.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

*) ვიხარ მამაცი!—ვინ ხარ მამაცი!

დურებათა სიაში მოხსენებულია, რომ 1888 წლის მარტის თთვეში სულ 104 იალქნიანი გემი დაღუპულა: გერმანიისა—13, ამერიკისა—17, ინგლისისა—32, ავსტრიისა—2, ისპანიისა—1, დანიისა—1, საფრანგეთისა—4, ჰოლანდიისა—3, იტალიისა—8, ნორვეგიისა—17, პორტუგალიისა—3, შვეციისა—2. ცეცხლით მოსიარულე გემი 8 დაღუპულა—6 ინგლისისა და 2 ნორვეგიისა.

— სინეიდგანა სწერენ, რომ ინგლისის მეცნიერს ლოონის უცაბედად უნახავს გველი თავის 18 წიწილით. გველმა სისინით გააღო პირი და 18 წიწილავე მაშინვე პირში ჩაუძვრა თურმე. ლოონის გველი მოუკლავს, გაუჭრია და უველა წიწილები ცოცხლები უპოვიდან. ამათშიაც ცამეტი მოუკლავს და ხუთიკი ცოცხლები გადარჩენია, გაჰქცევიან.

— პარიჟის მუზეუმში კანტონიდგან მიუყვანიათ ერთი ღორი, რომელსაც ექვსი ფეხი აქვს თურმე და ორი უკანა ნაწილი ტანისა. თუმცა ღორს ოთხი უკანა ფეხი სწორე აქვს, მაინც ვერა ხმარობს თურმე და სიარულის დროს მუცელზედა ფოფხავს.

# დეპეშა

14 მაისი

**სტრასბურგი.** მას აქეთ, რაც პასპორტი შემოიღეს, დიდ-ძალი საფრანგეთის ქვეშევრდომნი უნდა გაიძევონ ელზას-ლორენიდგან.

**ვენა.** ამბობენ, ვითომ რუსეთის პურს გერმანიაში ახალს ბაჟს არ დაადებენო.

15 მაისი

**პეტერბურგი.** გუშინ-წინ, მათ უდიდებულესობათა გვირგვინის კურთხევის დღესასწაულის დღეს, ისაკიევის სობოროში, უმაღლესის კარის უწარჩინებულესთა მოხელეთა და გენერალიტეტის თანადასწრებით, გადახდილ იქმნა წირვა. სასახლეში არავინ მიუღიათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი წავიდა გუშინ დროებით პეტერბურგიდგან. სამინისტროს უმთავრეს საქმეთა გამგეობა და წარმართვა იმისსავე ხელში იქნება, თუმცა პეტერბურგიდგან წავიდა.

ჟურნალს „Наблюдатель“-ს გამოუცხადეს მესამე გაფრთხილება და შეაჩერეს ექვსის თთვის ვადით. ასეთი სასჯელი იმისთვის დაადგა ჟურნალს, რომ, თუმცა ორჯელ მიუღია გაფრთხილება, მაინც მავნე მიმართულებას ადგია; ეს მიმართულება ნათლადა სჩანს ფოფანოვის ლექსში: „საიდუმლო სიყვარულისა“. ეს ლექსი მეტად ალმაშფოთებელია.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა გრაფი იგნატიევი სლავიანის საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარედ.

„Новое Время“ იუწყება, რომ ებრაელთა საქმის კომისია გრაფ პალენისა დაასრულებს თავისს საქმეებს ამ თთვეშიო. ამ კომისიას ვერა დაუდგენია-რა დავალებულის საქმის თაობაზედ.

**გელსინგფორსი.** სეიმმა დაადგინა, რომ ფინლიანდიის კავალერია თვით ფინლიანდიაშივე უნდა იდგესო.

**პეშტი.** ტისსამ გამოაცხადა პალატაში, რომ ვენგრიის მთავრობა არ უკრძალავს კერძო კაცთა პარიჟის გამოფენაში მონაწილეობას, ხოლო იმ აზრისაა, რომ კეთილ-გონიერად მოიქცეოდნენ მონაწილეობა არ მიეღოთ, რადგან საფრანგეთის საქმეებს ეხლანდელ არეულ-დარეულობის გამო შეიძლება უსიამოვნობა რამე მოხდეს და შეურაცხყოფა მიაყენონ ვენგრიის დროშასაო.

**ბერლინი.** ოფიციოზური გაზეთი „Post“-ი ამბობს, რომ ის წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა რუსეთის პურზედ ბაჟის მომატების შესახებ, იმ აზრით ვერ გაიგეს, რა აზრითაც დაწერილი იყო. გაზეთს სრულიად არ უნდოდა იმის თქმა, ვითომ ბაჟის მომატებას უნდა მოველოდეთ ჩქარაო; პირ-იქით, გაზეთს ისა ჰგონია, რომ ეხლა არავის არც-კი აქვს აზრად რუსეთის პურს ბაჟი მოუმატოს.

**ბრიუსელი.** გაზ. „Nord“-ი აცხადებს, რომ სამარყანდის რკინის გზის გამართვა რუსეთის მდგომარეობასა და ყოფას განამტკიცებს დასავლეთშიო. ინგლისი ამიერიდგან უნდა მიხვდეს, რომ ყოველივე იმისი წინააღმდეგობა ამაოა, და, იქნება, რუსეთთან მორიგება მოიწადინოს, რათა თავისს ინდოეთის სამფლობელოს დამოუკიდებლობა დაიცვას, მით უმეტეს, რომ რუსეთი მშვიდობიანობას არის მოწადინებულიო.

15 მაისი

**სამარყანდი,** 15 მაისს. დღევანდელს დღეს, დღესა მოგონებისასა მათის იმპერატორებითის უდიდებულესობათა სამღვთო დაგვირგვინებისასა, რკინის გზით შეუერთდა გული შუა-აზიისა კასპის ზღვას. პირველს მატარებელს, რომელშიაც იმყოფებოდა გენერალი ანნენკოვი და იმისი თანამშრომელნი, დეპუტაციები სამეცნიერო საზოგადოებათაგან, წარმომადგენელნი მწერლობისანი, დეპუტაციები ქალაქ ბაქოსაგან და ნავთ-მრეწველთაგან, მრავალნი სტუმარნი, მოსულნი საზღვარ-გარეთიდამ, შიდა რუსეთიდამ, თურქესტანიდამ და იმიერ-კასპიის ქვეყნიდამ, ამ პირველს მატარებელს მიეგება თურქესტანის უფროსი გენერალ-ადიუტანტი როზენბახი, ბუხარის ემირისაგან გამოგზავნილი საელჩო, აქაურნი საადმინისტრაციო მთავრობანი, მრავალნი რუსნი და აქაურნი მკვიდრნი. მიგებების დროს ზარბაზნები გაისროლეს. პირველი მატარებელი გაჩერდა უმურ ლენგის მატურს ახლო. შემდეგ სტუმარნი შეიკრიბნენ და ისაუზმეს გენერალ როზენბახთან. გენერალმა როზენბახმა ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი. საყოველთაო ერთობილი „ურა“! იყო პასუხი ამ სადღეგრძელოსი. საუზმეზედ თავმჯდომარემ საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებისამ, სენატორმა სემიონოვმა წარმოსთქვა სიტყვა და მოიხსენია ღვაწლი გენერალის ანნენკოვისა. ამწვანებული ქალაქი მორთული იყო ბაირაღებითა; საღამოზედ ჩირაღით იქნება განათებული ქალაქი; გაჩირაღებული იქნება აგრეთვე ყველა ნაშთნი სიძველისანი და მატური თემურლენგისა.

**ვენა.** „Rresse“-ის მეთაური წერილი ამბობს, რომ რუსეთს სრული სიმართლე აქვს თავი მოსწონდეს, რომ დაამთავრა იმიერ-კასპის რკინისგზა, ხოლო ინგლისი იძულებული იქნება ძალიან არ დასჭიმოს მშვილდი ევროპაში სხვა-და-სხვა საგნების გამოვო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 მაისი

| | მყიდველნისა. მან. კ. | გამყიდველნისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 9 55 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 190½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 243¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 | » |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლით.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდი პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 0 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

# განცხადებანი

წლიური საერთო კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-ისა, დანიშნულია ამ წლის 20 მაისს, საღამოს 8 საათზე, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1887 წელს;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაზე 1888 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა;

დ) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და წევრებისა.

ე) მოხსენება გამგეობისა, რომ ანგარიშისათვის მიღებულ იქმნას სამოსწავლო წელიწადი სექტემბრიდგან სექტემბრამდე და საზოგადო კრება მოხდეს ხოლმე ოქტომბრის განმავლობაში. (5—4)

სომეხთ სასულიერო ნერსესიან სემინარიის სამზრუნველო საბჭოში

1 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე, იქნება ვაჭრობა (განუმეორებლად) და იჯარით გაიცემა 21 დუქანი, რომელიც აშენებულია სემინარიის მეიდანზე, სომეხთა ვანქის ტაძრის ახლოს. ვისაც პირობის შეტყობა უნდა, შეუძლიან მობრძანდეს საბჭოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდე. (3—3)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა, 1881 წლის 17 თებერვალს დამტკიცებულ ბანკის წესდების მე-15 პარაგრაფის ძალით ამით აცხადებს რომ, 16 ივნისს 1888 წ., დილის 12 საათზე, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, არწრუნისეულს სახლებში: საჯაროდ გაისყიდება ვაჭრობის განუმეორებლად ქვემოხსენებულის პირების უძრავი ქონებანი, ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შეუსრულებლობისათვის 13, 14, 15, 17, 18 და 19 ბანკის წესდების §§-მებრ.

ა) სესხნი გაცემულნი არა ურთიერთობრივის თავდებობით.

I ქალაქის მამულები

მირიანოვისა, მარიამ იაკობის სული: ერთი ერთ - სართულიანი